შეკითხვები თვითშეფასების ანგარიშის შესახებ

1. ფორმის აღნიშნული რედაქციით დამტკიცების და ძალაში შესვლის შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამის 3 წლიანი თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ათვლის წერტილად განისაზღვრება თუ არა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი?
2. გავრცელდება თუ არა 3 წლიანი თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვალდებულება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე (4 წლიანი ან/და 7 წლიანი)? 7 წლიანის შემთხვევაში - ორჯერ, სამ წელიწადში ერთხელ?
3. გავრცელდება თუ არა 3 წილიანი თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვალდებულება საგანმანათლებლო პროგრამაზე, რიმელსაც მიენიჭა 4 წლიანი აკრედიტაცია გეგმიური მონიტორინგით? ან ანგარიშის წარდგენით, ვთქვათ, 6 თვეში?
4. გავრცელდება თუ არა 3 წლიანი თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვალდებულება 2017 წელს 4 წლის ვადით აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე?
5. საანგარიშო ფორმის 1.3 ნაწილში (რაოდენობრივი მაჩვენებლები) აისახება ანგარიშის წარდგენის პერიოდში არსებული ვითარება, თუ საანგარიშო პერიოდში ინფორმაციული მონაცემების დინამიკა?
6. მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში მოცემულ რეკომენდაციებზე, თუ ანგარიშის „პროგრამაში განხორციელებული სხვა ცვლილებები მოცემულ კომპონენტთან მიმართებაში“ ნაწილში ასახულ ცვლილებებზეც?
7. გათვალისწინებულია თუ არა საანგარიშო ფორმაში რჩევების შესრულების აღწერა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა?
8. საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის დადასტურების მიზნით საკმარისია თუ არა ინსტიტუციის ბიუჯეტის წარდგენა (საანგარიშო ფორმის 4.4 ნაწილი)?
9. როგორი ფორმით არის რეკომენდირებული ანგარიშის მე-3 ნაწილში „გასაუმჯობესებელი მხარეები გასავითარებლად დადგენილი აქტიობები“ მტკიცებულების წარსადგენა: დაგეგმილი აქტივობების ასახვა თუ კონკრეტული სამოქმედო გეგმა შესრულების სავარაუდო თარიღების მითითებით?
10. სასურველია, რომ ზუსტად განვმარტოთ რა იგულისხმება საერთაშორისო სტუდენტში.
11. სასურველია, დავაკონკრეტოთ რა იგულისხმება უცხოელ პერსონალში.
12. ყველა კომპონენტში გვხვდება შემდეგი ტექსტი: „აღწერეთ ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაცემულ იქნა პროგრამის მიმდინარე აკრედიტაციის მინიჭებიდან თვითშეფასების ანგარიშის შედგენამდე, აკრედიტაციის სტანდარტებთან თავსებადობის ყველა სახის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (არსებობის შემთხვევაში).“ თუ ამ ტექსტში არსებულ მოთხოვნას დაიცავს დაწესებულება, მას მოუწევს მის მიერ უკვე შედგენილი და ხარისხის ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი ანგარიშებიდან მონაცემების პირდაპირ გადმოწერა. მიგვაჩნია, რომ ეს ინფორმაცია დამატებით მონაცემებს ვერ მიაწვდის ცენტრს და გაუგებარი რჩება ასეთი თვითშეფასების მიზანი.
13. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა მოვითხოვოთ ყველა ცვლილების აღწერა და არ უნდა დავუკავშიროთ მხოლოდ გარე შეფასების რეკომენდაციებს.

14. გავრცელდება თუ არა 3 წლიანი თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვალდებულება 2016-2017 წელს 7 წლის ვადით აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე?